ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი

დ. ხარაგაული

24 ნოემბერი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, ინგა მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა. ა.ი. პირების ხელმძღვანელები:

შმაგი ხიჯაკაძე, ბესიკი კვირიკაშვილი, გოგიტა ჩიჩილიძე, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე

დაინტერესებული სხვა პირები: ავთანდილ ვეფხვაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, უშანგი ბერაძე და სხვები

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსის **ვ. გელაშვილის** ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შესახებ

მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოკლე მიმოხილვა 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და ბიუჯეტში დაგეგმილი საშემოსავლო და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ,

ვ. ჭიპაშვილმა– მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ეს არ არის საუკეთესო ბიუჯეტი, მაგრამ გვაქვს პროგრესი, სამწუხაროდ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ყველა ვალდებულება გავითვალისწინოთ, თუმცა წლის განმავლობაში შევეცდებით ორიენტაცია სოციალურ მიმართულებებზე, გაიზარდა სოციალური დახმარების ფონდი, გაიზარდა ერთჯერადი ფინანსური დახმარების ფონდი, ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება, ვფიქრობთ პრობლემურია და პრიორიტეტი იქნება მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. წელს პირველად ბიუჯეტში გვაქვს სიახლე, და ეს სიახლეა სამოქალაქო ბიუჯეტი.

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა პრიორიტეტების დოკუმენტში, რა დევს ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

ვ. ჭიპაშვილმა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ ერთ - ერთი პრიორიტეტია სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, კერძოდ სოფლებში ეტაპობრივად მოეწყობა ჭაბურღილები. ამისათვის სხვადასხვა ფონდებიდან ეძებთ თანხებს, თუმცა ბიუჯეტში არის საამისოდ გათვალისწინებული თანხები.

ი. მაღრაძემ, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა ხომ არ იგეგმება სათნოების სახლში ბენეფიციართა მომსახურების რაოდენობის გაზრდა.

გ. ჩიჩილიძემ უპასუხა, რომ მომსახურების არეალი გაიზრდება.

ლ. აბაშიძემ - საკრებულოს წევრმა, რომელიც დაინტერესდა ბიუჯეტში, რატომ არ არის გათვალისწინებული სხდომათა დარბაზის რეაბილიტაცია.

პ. კიკალიშვილმა -საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე და შენიშვნის სახით გადაეგზავნება მერიას მოთხოვნა ამ დანიშნულებით თანხების ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ სხვა შენიშვნებთან ერთად.

სხდომაზე მონაწილე პირთა მიერ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე დაისვა შეკითხვები სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით, რომლებზეც პასუხები გაცემული იქნა სხდომაზე მოწვეული მერიის წარმომადგენელთა მიერ.

ამით 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე